საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

27/09/2024

MES 5 24 0001224320

გადაწყვეტილება

შპს საქართველოს უნივერსიტეტის "განათლების მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1 „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 - ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საბჭო, თუ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-5 და მე-9 პუნქტების და აკრედიტაციის დებულების 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამა სრულად ვერ აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს, კერძოდ, თუ საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას: ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, პირობითი აკრედიტაციის ვადაა არაუმეტეს 4 წელი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1 სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) შპს საქართველოს უნივერსიტეტის 2024 წლის 17 მაისის №222 წერილი (ცენტრში რეგისტრაციის -

№542000; 20/05/2024), რომლითაც დაწესებულებამ წარმოადგინა საკრედიტაციო განაცხადი "განათლების მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე.
2.2. ცენტრის დირექტორის 2024 წლის 18 ივნისის №688409 ბრძანების საფუძველზე, შპს საქართველოს უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2024 წლის 12 ივლისის №854423 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც დაწესებულებაში ვიზიტი "განათლების მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით განახორციელა 2024 წლის 07 აგვისტოს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის შესაბამისად, საკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		x		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	x			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	x			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	x			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		x		

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2024 წლის 13 სექტემბერს.
2.4. საკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის

მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული საერთო შეფასება და განახორციელა გარკვეული ცვლილებები, კერძოდ, 1.2, 1.3 და 1.5 კომპონენტებში საბჭოს მიერ დაემატა რეკომენდაციები, შედეგად აღნიშნული კომპონენტები შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია“ სტანდარტის მოთხოვნებთან, რამაც გამოიწვია პირველი სტანდარტის შეფასება როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია“ სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-5 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5 და მე-9 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 13 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "განათლების მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით, 2026 წლის 13 სექტემბრამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "განათლების მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი № 2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2024 წლის 27 სექტემბრის სხდომის №1222386 ოქმის №1 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი № 3).
4. დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რჩევები და რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია სწავლის შედეგების გამდიდრება ისეთი ცოდნით, უნარებითა დაკომპეტენციებით, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება განათლების მენეჯმენტს, ლიდერობასა და მმართველობას, პროექტების მართვას, მენეჯერის როლსა და მის მოთხოვნებს;
2. რეკომენდებულია სწავლის შედეგების დეტალურად გაწერა პროგრამის ყველა კურსში ცოდნის, უნარების, ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის დონეზე;
3. რეკომენდებულია დაწესებულებამ წარმოადგინოს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა;
4. რეკომენდებულია სწავლის შედეგების თანმიმდევრულად და გამჭვირვალე შეფასების მიზნით დაწესებულებამ შეიმუშაოს კურიკულუმის რუკა;

5. რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს სამიზნე ნიშნულები თითეული სწავლის შედეგისათვის და მონიტორინგის ადეკვატური მექანიზმი;
6. რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს სწავლის შედეგების შესრულების ინდიკატორები და შეფასების რუბრიკები;
7. რეკომენდებულია ყველა სილაბუსი მკაფიოდ იყოს ფოკუსირებული განათლების სფეროზე, მათ შორის შესაბამისი სასწავლო ლიტერატურის ჩათვლით (მაგალითად, "ოპერაციათა მენეჯმენტი განათლებაში", "ფინანსების მართვა განათლებაში", "ლიდერობა და მარკეტინგის მენეჯმენტი" სასწავლო კურსების შემთხვევაში);
8. საგანში - "ციფრული ტექნოლოგიები და ხელოვნური ინტელექტი განათლებაში" გამოყენებულ იქნას უახლესი ლიტერატურა, რომელიც თავსებადობაში იქნება სილაბუსით დაგეგმილ საკითხებთან;
9. რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომების სამეცნიერო ხელმძღვანელების მხარდაჭერა და წახალისება, რათა აქტიურად ჩაერთონ სამეცნიერო კვლევებში და რეგულარულად გამოაქვეყნონ სამეცნიერო ნაშრომები. ეს დაეხმარება მათი აკადემიური კომპეტენციების გაძლიერებას და, შესაბამისად, გააუმჯობესებს სტუდენტების ხელმძღვანელობის ხარისხს;
10. რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ხელი შეუწყოს აკადემიურ პერსონალს რათა სილაბუსებში დეტალურად გაიწეროს შეფასების კრიტერიუმები. ასევე, დაკონკრეტდეს ქვიზების ფორმატი და ჩატარების დრო;
11. რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ითანამშრომლოს აკადემიურ პერსონალთან კურსებში ანალიტიკური რუბრიკების დანერგვის მიზნით, რათა სტუდენტებს უფრო ზუსტი უკუკავშირი მიეწოდოთ, რაც განსაკუთრებით სასარგებლო იქნება ნაშრომების გადახედვის პროცესის წარმართვისა და შეფასების თანმიმდევრულობის უზრუნველყოფისთვის;
12. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა შეიმუშაოს და გამოიყენოს შეფასების ფორმა კვლევითი კომპონენტებისა და ხელმძღვანელობის შესახებ მონაცემების შესაგროვებლად, აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად.

რჩევები:

- სასურველია, განიხილოთ როგორც ძირითადი სასწავლო გეგმის, ასევე სპეციალიზებული მოდულების გაუმჯობესების შესაძლებლობები, რაც გულისხმობს განათლების მენეჯმენტთან და კონკრეტული მოდულის შინაარსთან დაკავშირებული კურსებისა და თემების შეტანას პროგრამაში;
- მიზანშეწონილია, შეფასების კრიტერიუმების დიფერენცირება სასწავლო კურსებში (საგნებში);
- სასურველია, შემუშავდეს დოკუმენტი, რომელიც დეტალურად აღწერს პრაქტიკის დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის მექანიზმებს;
- სასურველია, აქტიურად წახალისდეს აკადემიური პერსონალის ჩართულობა პროგრამის განვითარებაში, რათა გაუმჯობესდეს მთლიანი პროცესის ხარისხი;
- სასურველია, შესაბამის დოკუმენტაციაში მკაფიოდ განისაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელის მოთხოვნები, ფუნქციები და მოვალეობები;
- სასურველია გადაიხედოს და განახლდეს უნივერსიტეტის სალიცენზიო ხელშეკრულებების მოქმედების ვადები ელექტრონულ მონაცემთა ბაზებთან (მათ მომწოდებლებთან);
- სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გარკვევით მიაწოდოს ინფორმაცია აკადემიურ პერსონალს შეფასების სისტემის მოქნილობის შესახებ, რათა თავიდან იქნას აცილებული გაუგებრობები.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2024 წლის 13 სექტემბერს.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თუთბერიძე გოჩა

ელექტრონული მფლობელობა

დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	განათლების მენეჯმენტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	განათლების მენეჯმენტის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	კოსტავას 77ა, 0171, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2024 წლის 13 სექტემბერი
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	-
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	13.09.2026